მატჩი ხარკოვში

”მეტალისტი” (ხარკოვი) – ”დინამო” (თბილისი). 3:0 (2:0).

ხარკოვი. ”მეტალისტის” სტადიონი. 8 მაისი.

”მეტალისტი”: ჟიტნიკი, კუზნეცოვი, პოტოჩნიაკი, კოსოლაპოვი, კამარზაევი, ბერნიკოვი, ტკაჩენკო, სუსლა, მალკო (ნედიაკი), ლინკე (სააკოვი), კრამარენკო.

”დინამო”: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (ჩელებაძე), კაკილაშვილი, შენგელია, ცავა, მესხი (კოსტავა).

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 0:2. ორივე ბურთი გაიტანა ჯოხაძემ.

მასპინძლებმა დიდი აღმავლობით ითამაშეს და წარმატებას უკვე პირველ ტაიმში მიაღწიეს. მათ კარგად ისარგებლეს იმით, რომ თბილისის დინამოელები ამ დღეს ხშირად უშვებდნენ შეცდომებს ბურთის დამუშავებისას, თამაშობდნენ დაბალ ტემპში, არ ჰქონდათ საიმედო ურთიერთმოქმედება დაცვაში, ამას გარდა, თბილისელებს აკლდათ წამყვანი ფეხბურთელები (ყიფიანი, გუცაევი). მე-10 წუთზე ბერნიკოვის დარტყმის შემდეგ დინამოელმა მცველებმა ვერ შეძლეს ბურთის მოგერიება და სუსლამ კარში გაგზავნა იგი - 1:0. 23-ე წუთზე კი სტუმრების მხარეს დაინიშნა ჯარიმა, კოსოლაპოვის დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს და ბადეში აღმოჩნდა - 2:0.

თბილისელებს ტაიმის დამთავრებამდე შეეძლოთ საპასუხო ბურთის გატანა, მეკარესთან პირისპირ გავიდა მესხი, მაგრამ ბოლო წამს ვერ გამოიყენა ეს შანსი. შემდეგ კარგი მომენტები ჰქონდათ ჩივაძეს, ცავას, შენგელიას.

თბილისელები მეორე ტაიმშიც უტევდნენ, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში მასპინძლებმა მოიგერიეს ბურთი, სწრაფი კონტრთამაში განახორციელეს და სააკოვმა მესამედ აიღო მეტოქის კარი.

თბილისის ”დინამომ” თავის შესაძლებლობებზე აშკარად დაბლა ჩაატარა აღნიშნული მატჩი.

”ლელო”, 11 მაისი, 1982 წ.